



საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
საჯარო სამართლის იურიდიული პირი
გარემოს ეროვნული სააგენტო

ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. №150 ტელ.: +995 32 243 95 03; ფაქსი: +995 32 243 95 02

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 552/ს
29/12/2022

552-21-4-202212291548



სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ ჯვარი-წყალტუბოს 500 კვ-იანი ელექტროგადამცემი ხაზისა და ქვესადგურის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პირობების ცვლილებაზე (მისასვლელი გზების მარშრუტის ცვლილება) სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ

სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ მიერ გზმ-ის ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარმოდგენილი იქნა ჯვარი-წყალტუბოს 500 კვ-იანი ელექტროგადამცემი ხაზისა და ქვესადგურის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პირობების ცვლილების სკრინინგის ანგარიში.

სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ „ჯვარი-წყალტუბოს 500 კვ-იანი ელექტროგადამცემი ხაზისა და ქვესადგურის მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე“ 2019 წლის 16 მაისს გაცემულია გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება (ბრძანება N2-416). გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშისა და გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების თანახმად, 500 კვ ძაბვის ქვესადგურის „წყალტუბო 500“ მოწყობა დაგეგმილია წყალტუბოს მუნიციპალიტეტში, სოფ. გუმბრაში.

სკრინინგის განცხადების თანახმად, ექსპლუატაციის პირობების ცვლილება ითვალისწინებს 500 კვ ძაბვის ქვესადგურთან „წყალტუბო 500“ თავდაპირველი პროექტით გათვალისწინებული მისასვლელი გზების მარშრუტების ცვლილებას. დეტალური პროექტის მომზადების პროცესში მიღებული იქნა გადაწყვეტილება ქვესადგურ „წყალტუბო 500“-თან თავდაპირველი პროექტით გათვალისწინებული 2 მისასვლელი გზის ნაცვლად ერთი მისასვლელი გზის მოწყობის თაობაზე. ახალი მისასვლელი გზიდან უახლოესი საცხოვრებელი სახლი დაშორებულია 57 მ-ით.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, თავდაპირველი პროექტით გათვალისწინებული პირველი გზის სიგრძე შეადგენს 940 მ-ს, ხოლო სიგანე 3-3.5 მ-ს. მისასვლელი გზა იწყება ქუთაისი-წყალტუბოს საავტომობილო ასფალტირებული გზიდან, გადის რამდენიმე საცხოვრებელი სახლის და სახნავ-სათესი ტერიტორიების მომიჯნავედ.

ასფალტირებული გზიდან დაახლოებით 570 მეტრში გზა წყდება, საცალფეხო ბილიკით ეშვება მცირე ხევში და მიემართება პატარა უსახელო მდინარემდე/დელემდე, რომლის სიგანე შეადგენს 2.5-3 მეტრს. დელეს შემდგომ გზა ასევე საცალფეხოდ გრძელდება დაახლოებით 100 მ-ზე და მიდის საპროექტო ქვესადგურამდე. თავდაპირველი პროექტით გათვალისწინებული მეორე გზა დასავლეთის მხრიდან, წყალტუბო-ფარცხანაყანევის საავტომობილო გზიდან იწყება და მიდის აღმოსავლეთის მიმართულებით, გზის სიგრძე დაახლოებით 1700 მ-ია ხოლო, სიგანე 3.5-3.7 მ. არსებული გზა გაივლის სახნავ-სათეს და მიტოვებულ დაუმუშავებელ ტერიტორიებს. მომიჯნავე ტერიტორიებზე გავრცელებულია ბუჩქოვანი ხე-მცენარეულობა. გზა გრუნტისაა და საჭიროებს შეკეთებას. ქვესადგურისკენ მიმავალი გზა დაახლოებით შუა ნაწილში კლაკნილია და საბოლოოდ იგი სამხრეთიდან შედის საპროექტო ქვესადგურის ტერიტორიაზე.

სკრინინგის განცხადების თანახმად, ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში დაგეგმილია, თავდაპირველი პროექტით გათვალისწინებული ორი მისასვლელი გზის ნაცვლად, ერთი მისასვლელი გზის მოწყობა. მიწის ნაკვეთების ნაწილი, რომელზეც ცვლილების პროექტით გათვალისწინებულია მისასვლელი გზის მოწყობა, წარმოადგენს სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ (ს/კ: 29.07.37.598; 29.09.46.990), ხოლო ნაწილი სახელმწიფოს საკუთრებას (ს/კ: 29.09.48.453; 29.09.46.425; 29.10.32.323). საპროექტო მისასვლელი გზა იწყება დასავლეთის მხრიდან, წყალტუბო-ფარცხანაყანევის საავტომობილო გზიდან და გაგრძელდება აღმოსავლეთის მიმართულებით, არსებული ადგილობრივი გრუნტიანი გზით, დაახლოებით 500 მ სიგრძის მონაკვეთზე (GPS კოორდინატები: X - 300862; Y - 4684140; X - 301034; Y - 4684122; X - 301206; Y - 4684096; X - 301228; Y - 4684060; X - 301326; Y - 4684056). შემდგომ საპროექტო გზა უხვევს სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით და გრძელდება ქვესადგურ „წყალტუბო 500“-ის საზღვრამდე. აღნიშნული მონაკვეთზე საპროექტო გზის სიგრძე შეადგენს დაახლოებით 400 მ-ს, რომელიც გაივლის აუთვისებელ ტერიტორიაზე. გარდა აღნიშნულისა გზას უკეთდება დაახლოებით 50 მ სიგრძის განშტოება ქვესადგურის ტერიტორიაზე ცალკე შესასვლელად (GPS კოორდინატები: X - 301326; Y - 4684056; X - 301381; Y - 4684049; X - 301535; Y - 4684020; X - 301587; Y - 4683991; X - 301642; Y - 4683886; X - 301617; Y - 4683954; X - 301662; Y - 4683977). სულ საპროექტო გზის სიგრძე, წყალტუბო-ფარცხანაყანევის საავტომობილო გზიდან ქვესადგურის საზღვრამდე იქნება დაახლოებით 950 მ. საავტომობილო გზის შემდეგი 460 მ სიგრძის მონაკვეთის მოწყობა გათვალისწინებულია ქვესადგურის ტერიტორიაზე. ქვესადგურის „წყალტუბო 500“ შემდეგ გზა გრძელდება არსებულ 220 კვ ძაბვის ქვესადგურამდე, რომელიც გაივლის არსებული გზის დერეფანში, პროექტი ითვალისწინებს არსებული გზის რეაბილიტაცია გაფართოებას. აღნიშნული მონაკვეთის სიგრძე შეადგენს 660 მ-ს (GPS კოორდინატები: X - 302003; Y - 4683633; X - 302001; Y - 4683593; X - 301971; Y - 4683435; X - 302016; Y - 4683421; X - 301998; Y - 4683310; X - 301994; Y - 4683187; X - 302005; Y - 4683134; X - 302057; Y - 4683113; X - 302024; Y - 4683026). საპროექტო ცვლილების მიხედვით, მისასვლელი გზის საერთო სიგრძე შეადგენს დაახლოებით 1610 მ-ს, საიდანაც არსებული გზების დერეფანში გაივლის 1160 მეტრი სიგრძის გზა, ხოლო ახალ, აუთვისებელ ტერიტორიაზე მოეწყობა 450 მ სიგრძის მონაკვეთზე. პროექტის მიხედვით, მისასვლელი გზის სიგანე იქნება 7 მეტრი.

სკრინინგის განცხადების თანახმად, მისასვლელი გზის და საწრეტი არხების გადაკვეთაზე დაგეგმილია 2 რკინაბეტონის მილხიდის მოწყობა (დიამეტრი-1000 მმ). პირველი მილხიდის განთავსების GPS კოორდინატებია: X - 301216; Y - 4684093; X - 301219; Y - 4684091; X - 301206; Y - 4684077; X - 301208; Y - 4684076. მეორე მილხიდის განთავსების GPS კოორდინატებია: X - 301589; Y - 4683998; X - 301591; Y - 4683997; X - 301588; Y - 4683978; X - 301590; Y - 4683979.

სკრინინგის განცხადების თანახმად, სამშენებლო სამუშაოებში გამოყენებული იქნება: 2 თვითმცლელი ავტომანქანა, ექსკავატორი, ბულდოზერი, ავტოცისტერნა დიზელის საწვავისათვის და ავტოცისტერნა - წყლისათვის. სამშენებლო სამუშაოების ხანგრძლივობა შეადგენს 50 დღეს და დასაქმდება 10 - 12 ადამიანი. წყალტუბოს ქვესადგურის მშენებლობის პროექტი, რომელიც თავის მხრივ მოიცავს ელექტროგადამცემი ხაზების მშენებლობასაც, ითვალისწინებს 2 სამშენებლო ბანაკის მოწყობას, აქედან ერთი სამშენებლო ბანაკის მშენებლობა დაგეგმილია ქვესადგურის „წყალტუბო 500“ მიმდებარედ, არსებული ძველი ქვესადგურის მომიჯნავედ, რომელიც გამოყენებული იქნება აღნიშნული მისასვლელი გზის მოწყობის პროექტისთვის.

სკრინინგის განცხადების თანახმად, საყოფაცხოვრებო-ჩამდინარე წყლების მართვა მოხდება ქვესადგურის სამშენებლო ბანაკის ტერიტორიაზე. მშრალ ამინდებში გზის მოსარწყავად/დასანამად საჭირო ტექნიკური წყლის რაოდენობა შეადგენს 150 მ³-ს, რისთვისაც წყალმომარაგება განხორციელდება სამშენებლო ბანაკიდან, წყალტუბოს წყალმომარაგების ქსელის მეშვეობით.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად, მშენებლობის ეტაპზე ატმოსფერული ჰაერის დაბინძურებისა და ხმაურისა და ვიბრაციის გავრცელების ძირითადი წყაროები იქნება ავტოსატრანსპორტო საშუალებები და სამშენებლო ტექნიკა. სამშენებლო სამუშაოების მასშტაბისა და ხანგრძლივობის გათვალისწინებით, ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე და ხმაურისა და ვიბრაციის გავრცელებით გამოწვეული ზემოქმედება არ იქნება მნიშვნელოვანი. ამასთან ატმოსფერული ჰაერის დაბინძურებისა და ხმაურისა და ვიბრაციის გავრცელების მოსალოდნელი ზემოქმედების მაქსიმალურად შემცირების მიზნით, დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში, გატარდება შემდეგი შემარბილებელი ღონისძიებები: სამუშაოები შესრულდება მხოლოდ დღის საათებში; მშრალ და ქარიან ამინდში, მტვრის გავრცელების პრევენციის მიზნით, ტექნიკის გადაადგილებისათვის საჭირო გრუნტიანი ნაწილის პერიოდული მორწყვა; სამუშაოების დაწყებამდე ყოველდღიურად მოხდება გამოყენებული ტექნიკის და სატრანსპორტო საშუალებების ძრავების გამართულობის შემოწმება.

სკრინინგის განცხადების შესაბამისად, პროექტში შეტანილი ცვლილებები ნარჩენების წარმოქმნის თვალსაზრისით მნიშვნელოვან ცვლილებებთან დაკავშირებული არ იქნება, კერძოდ საპროექტო ცვლილებები არ გამოიწვევს საბაზისო პროექტისათვის განსაზღვრული ნარჩენების სახეობრივი შემადგენლობის ცვლილებას. მისასვლელი გზის

მოწყობის ეტაპზე ერთჯერადად შესაძლებელია წარმოიქმნას სხვადასხვა სახის სახიფათო და არასახიფათო ნარჩენები, რომელთა მართვა განხორციელდება კომპანიის ნარჩენების მართვის გეგმის შესაბამისად.

სკრინინგის განცხადების თანახმად, ჩატარებული საველე გეოლოგიური კვლევების პროცესში დათვალაირდა პროექტებით გათვალისწინებული მისასვლელი გზის მონაკვეთი. შესწავლის შედეგად საკვლევ ტერიტორიაზე არ ფიქსირდება რაიმე ბუნებრივი საფრთხის განვითარების რისკის ისეთი უბნები, რამაც შეიძლება ზიანი მიაყენოს არსებულ გარემოს. აღნიშნულიდან გამომდინარე, საპროექტო ცვლილებით განსაზღვრულ დერეფანში მისასვლელი გზის მოწყობის სამუშაოები გეოლოგიურ გარემოზე ზემოქმედების რისკებთან არ იქნება დაკავშირებული.

სკრინინგის განცხადების თანახმად, დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში გათვალისწინებულია 315 მ³ ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნა. მოხსნილი ნაყოფიერი ფენის დასაწყობება დაგეგმილია საპროექტო ქვესადგურის ტერიტორიაზე და შემდგომ გამოყენებული იქნება ქვესადგურის ტერიტორიის რეკულტივაციის მიზნით. ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის, შენახვის, გამოყენების და რეკულტივაციის სამუშაოები განხორციელდება „ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის, შენახვის, გამოყენების და რეკულტივაციის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №424 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში ზემოქმედება უმეტესად შეეხება ინვაზიური ხე-მცენარის - ხემყრალის (*Ailanthus altissima*) მიერ შექმნილ კორომებს, რომლებიც გზის პირებზეა განვითარებული. გზის გაფართოების მიზნით, გათვალისწინებულია 150-მდე ძირი ხემყრალის და 20-25 ძირი ცრუაკაციას (*Robinia pseudoacacia*) მოჭრა. ვინაიდან, საპროექტო ტერიტორია მდებარეობს მაღალი ანთროპოგენური ფაქტორებით დატვირთულ ზონაში, დაგეგმილი საქმიანობა არ იქნება დაკავშირებული ფაუნის წარმომადგენლებზე მოსალოდნელ ზემოქმედებასთან.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, საპროექტო ტერიტორია არ მდებარეობს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების, დაცული და ტყით მჭიდროდ დაფარული ტერიტორიების სიახლოვეს, სადაც გაბატონებულია საქართველოს „წითელი ნუსხის“ სახეობები.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სკრინინგის განცხადება გამოქვეყნდა სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე და წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე. ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე საზოგადოების მხრიდან აღნიშნულ საქმიანობასთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები სააგენტოში არ ყოფილა წარმოდგენილი.

სკრინინგის განცხადების შესწავლით დგინდება, რომ საქმიანობის სპეციფიკის, ადგილმდებარეობისა და მასშტაბის გათვალისწინებით დაგეგმილი ექსპლუატაციის პირობების ცვლილება არ გამოიწვევს გარემოზე მნიშვნელოვან ზემოქმედებას.

ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-6 ნაწილისა და ამავე კოდექსის მე-5 მუხლის მე-12 ნაწილის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ ჯვარი-წყალტუბოს 500 კვ-იანი ელექტროგადამცემი ხაზისა და ქვესადგურის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პირობების ცვლილება (მისასვლელი გზების მარშრუტის ცვლილება) არ დაექვემდებაროს გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;
2. სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ ვალდებულია საქმიანობა განახორციელოს სს საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის, „ჯვარი-წყალტუბოს 500 კვ-იანი ელექტროგადამცემი ხაზისა და ქვესადგურის მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე“ 2019 წლის 16 მაისს გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით (ბრძანება №2-416) დადგენილი პირობების დაცვით, წარმოდგენილი ცვლილებების გათვალისწინებით;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას“;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში გადაწყვეტილება განთავსდეს სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე და წყალტუბოს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

თამარ ფიცხელაური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო